

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სატრანსპორტო და
მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის
№ 510 „სარკინიგზო ტრანსპორტი“-ს დეპარტამენტი

2017

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

გასული საუკუნის 30-იან წლებში, კერძოდ 1931 წელს თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი (ЗИИПС), ხოლო შემდგომ 1936 წელს მის ბაზაზე ჩამოყალიბებულ იქნა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი (ТБИИЖТ), რომელშიც იმ დროისათვის ჩამოყალიბებული იყო 5 ფაკულტეტი: რკინიგზების ექსპლუატაციის; რკინიგზების მშენებლობის; მექანიკური; ელექტროტრანსპორტის; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის. ინსტიტუტში ფუნქციონირებდა 18 კათედრა. ინსტიტუტი განთავსებული იყო სტუ-ს დღევანდელ I კორპუსში. მისი კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილი იყო იმ დროისათვის არსებულ უმაღლეს ტექნიკურ დონეზე.

1959 წელს მოხდა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის (ТБИИЖТ) გაერთიანება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან (შემდგომში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), სადაც სატრანსპორტო ფაკულტეტზე გარკვეული პერიოდულობით და კათედრათა დასახელებების ცვლილებებით საბოლოოდ ჩამოყალიბებულ იქნა №58 „ვაგონმშენებლობის, სავაგონო მეურნეობის და სარკინიგზო ტრანსპორტზე გადაზიდვის პროცესების მართვის“, №62 „ელექტრული ტრანსპორტი“-ს და №100 „სარკინიგზო ავტომატიკის, ტელემექანიკის და კავშირგაბმულობის“ კათედრები. 2006 წელს სტუ-ში სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად მოხდა სატრანსპორტო ფაკულტეტის და მექანიკა მანქანათმშენებლობის ფაკულტეტების გაერთიანება და ეწოდა სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, სადაც ზემოჩამოთვლილი კათედრები იგივე დასახელებებით აგრძელებდნენ ფუნქციონირებას მიმართულებების სტატუსით, სადაც ბაკალავრიატში სწავლება ხორციელდებოდა საგანმანათლებლო პროგრამით

„გადაზიდვის ორგანიზაცია და მართვა“ (4 სარკინიგზო მოდულით: „გადაზიდვის ორგანიზაცია და მართვა რკინიგზის ტრანსპორტზე“; „ვაგონები და სავაგონო მეურნეობა“; „მატარებელთა წვევა და წვევის მეურნეობა“; „ავტომატიკა, ტელემექანიკა და კავშირგაბმულობა რკინიგზის ტრანსპორტზე“). მაგისტრატურაში სწავლება ხორციელდებოდა პროგრამით „სარკინიგზო ტრანსპორტი“, ხოლო დოქტორანტურაში პროგრამით „სარკინიგზო ტრანსპორტის ექსპლუატაცია“.

2013 წლის დასაწყისში ოთხივე მიმართულების გაერთიანებით შეიქმნა №510 „სარკინიგზო ტრანსპორტი“-ს დეპარტამენტი, სადაც ამჟამად ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამით „ტრანსპორტი“ (2012 წლიდან). დეპარტამენტს დაარსებიდან დღემდე ხელმძღვანელობს პროფესორი ავთანდილ შარვაშიძე.

ამჟამად დეპარტამენტის 9,5 აკადემიურ შტატში დასაქმებულია 14 ფიზიკური პირი, მათ შორის 4 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი და 2 ასისტენტ პროფესორი. დეპარტამენტს ჰყავს 4 ემერიტუსი, 4 მოწვეული ასოცირებული პროფესორი, 1 უფროსი მასწავლებელი და 8 დამხმარე პერსონალი (1 მთავარი სპეციალისტი, 2 სპეციალისტი, 3 უფროსი ლაბორანტი და 2 ლაბორანტი).

გარდა აღნიშნულისა დეპარტამენტს გააჩნია წარმოება-დაწესებულებებში დასაქმებული ამავე დეპარტამენტის კურსდამთავრებულ პირთა მნიშვნელოვანი რესურსი, რომელთაც მინიჭებული აქვთ აკადემიური დოქტორის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესის განხორციელებაში უმტკივნეულოდ შეიძლება მათი მოწვევა, ასევე ამ რესურსის გამოყენება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებაში, დამუშავებასა და სრულყოფაში.

დეპარტამენტის ძირითადი მეცნიერული მიმართულებებია:

- სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობათა და მისი ცალკეული კვანძების კონსტრუქციული სრულყოფის საკითხები;
- სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობათა დინამიკის საკითხები;
- ვაგონების მექანიკურ გადაცემათა დინამიკური კვლევის საკითხები;

- ვაგონების რემონტისა და მომსახურების სრულყოფის და ლოგისტიკის საკითხები;
- სარკინიგზო ტრანსპორტზე გადაზიდვითი პროცესის ორგანიზაციისა და მართვის სრულყოფის საკითხები (გამტარ - და გამზიდუნარიანობის ამაღლება);
- რკინიგზის სადგურების და კვანძების განვითარებისა და სრულყოფის საკითხები;
- სარკინიგზო ტრანსპორტის საექსპლუატაციო მუშაობის მათემატიკური მოდელირების საკითხები;
- რკინიგზის ენერგომომარაგების და ელექტრომოდრავი შემადგენლობის ელექტრომოწყობილობათა სრულყოფის საკითხები;
- სარკინიგზო ავტომატიკისა და ტელემექანიკის მოწყობილობათა სრულყოფისა და დიაგნოსტირების საკითხები;
- რკინიგზაზე დისპეტჩერული ცენტრალიზაციის საკითხები;
- სარელსო წრედებში მიმდინარე რთულ პროცესებთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები;
- ტრანსპორტზე მიკროპროცესორულ პროცესებთან დაკავშირებული საკითხები და სხვა აქტუალური პრობლემები, რომლებიც უკავშირდება რკინიგზაზე მოძრაობის უსაფრთხოებას.

დეპარტამენტში უშუალოდ სარკინიგზო მიმართულებით ამჟამად ბაკალავრიატში სწავლობს 200 სტუდენტზე მეტი, 13 მაგისტრანტი და 9 დოქტორანტი. დეპარტამენტში სწავლება ხორციელდება ასევე პროფესიული სწავლების მიმართულებით. სტუ-ში მაგისტრატურის დაარსებიდან (1996 წ) დღემდე სარკინიგზო სპეციალობით დაცულია 200-მდე სამაგისტრო ნაშრომი. 2000 წლიდან დაცულია 39 დისერტაცია და მამიებლებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი სამეცნიერო და აკადემიური ხარისხები (2 ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, 12 ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, 25 აკადემიური დოქტორი).

დეპარტამენტს აქვს კომპიუტერული უზრუნველყოფა, ლაბორატორიები, სიმულატორი, სასწავლო კაბინეტები, პროექტორებით აღჭურვილი სალექციო აუდიტორიები და მათთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სტენდები, მაკეტები, მოწყობილობები), 2016 წელს საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობის და „ახალგაზრდა რკინიგზელთა ასოციაციის“ დეპარტამენტთან თანამშრომლობით დასრულდა და ფუნქციონირება დაიწყო სრულიად ახალმა თანამედროვე „რკინიგზების საექსპლუატაციო მუშაობის მართვის ლაბორატორია-სიმულატორმა“, რომელიც წარმატებით ჩაერთვება საგანმანათლებლო პროგრამაში.

დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, საერთაშორისო ჟურნალებში აქვეყნებენ თავიანთ ნაშრომებს. დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გამოცემულია 50-ზე მეტი ქართულენოვანი სახელმძღვანელო, 15 მონოგრაფია, მრავალი მეთოდური მითითებები, სალექციო კურსები და სამეცნიერო სტატიები. დეპარტამენტის პროფესურა არის მრავალი გამოგონების, საავტორო უფლებების და პატენტების მფლობელი. დეპარტამენტს გააჩნია სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, ქართული და უცხოენოვანი ახალი თანამედროვე ლიტერატურა და თვალსაჩინოებანი (პლაკატები, ჟურნალები, სტენდები, მაკეტები და სხვ.).

დეპარტამენტში წლების განმავლობაში დამუშავებულია 5 საგრანტო თემა და ამჟამად მუშავდება 1.

„სარკინიგზო ტრანსპორტი“-ს დეპარტამენტი მემორანდუმების საფუძველზე ახორციელებს საწარმოო პრაქტიკებს სს „საქართველოს რკინიგზა“-ს სახაზო ობიექტებზე, სს „ელექტროვაგონშემკეთებელ“ ქარხანაში და შპს „რუსთავის ვაგონმშენებელ კომპანია“-ში, შპს „ელმავალმშენებელ“ ქარხანაში, სადაც ნიჭიერ ახალგაზრდებს აქვთ პერსპექტივა შემდეგი დასაქმებისათვის (სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ცენტრალური აპარატი და მისი ყველა სახაზო ობიექტები, ასევე ზემოჩამოთვლილი ყველა ობიექტი და მეტროპოლიტენი წარმოადგენენ ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმების ძირითად ორგანიზაციებს).

დეპარტამენტში ფუნქციონირებს „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობებისა და ინფრასტრუქტურის სამეცნიერო საინჟინრო ცენტრი“. დეპარტამენტის სამეცნიერო პოტენციალი მონაწილეობას ღებულობს ახალი მოდელის სატვირთო ვაგონების ტექნიკური პირობების დამუშავებაში და „რკინიგზების ცენტრალური საბჭო“-ს (თანამეგობრობის ქვეყნების, საქართველო, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) სავაგონო მეურნეობის უფლებამოსილ სპეციალისტთა კომისიების მუშაობაში.

სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში მოღვაწე ადამიანური რესურსის გათვალისწინებით სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის №510 „სარკინიგზო ტრანსპორტი“-ს დეპარტამენტი არის მაღალი პოტენციალის მქონე, რომელიც მომავალშიც მნიშვნელოვან სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო-მეთოდურ მუშაობას გასწევს სტუდენტი ახალგაზრდობის კვალიფიციურ სპეციალისტად აღზრდისა და ფაკულტეტის შემდგომი განვითარების საქმეში.

№510 დეპარტამენტის უფროსი,
პროფესორი

ა. შარვაშიძე